



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ. ოზურგეთი

N 10  
13/02/2017

10-03-4-201702131552



განკარგულება №10  
13 თებერვალი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (აღნაგობის უფლებით) გაცემის თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

*საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, სსიპ თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთში გურიის ქუჩაზე მდებარე 5982 კვ.მ. (ს/კ 26.26.48.270) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 8,3 კვ.მ. მიწის


ნაკვეთის (თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად), სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი აღნაგობის სახით 10 (ათი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით (აღნაგობით) გადაცემის, ქირის წლიური საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის არანაკლებ 6 % -ის ოდენობით.

**მუხლი 3.** განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა